№ 15 27 ივლისი, პარასკევი 1866—1879 27 ივლისი, პარასკევი № 155

# დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სოლოლაკზე, ბ-ლის ქუჩაზე, ბ. შადნოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ᲒᲐᲠᲔᲨᲘ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘᲗ ᲐᲡᲝᲖᲔ 1 კაპ. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲪᲘᲤᲠᲘᲗ — 5 კაპ., ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲗᲘ — 4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲛᲘᲡᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢ. ᲠᲘᲪᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲜᲐᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲮᲕᲐᲚ, 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ.

## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲔᲙᲚᲘᲡᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ

## ᲙᲐᲠᲐᲒᲐᲓᲘᲜᲘ

შედგენილი
მღ. დავით ღამბაშიძისაგან.
გამოცემა პირველი.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ ᲣᲧᲓᲝᲗ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ, ᲧᲓᲘᲗ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ.

წიგნის ყიდვა შეიძლება:
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ—ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘᲡ წიგნის მაღაზიაში.
ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ—ᲡᲘᲛᲝᲜ ᲪᲔᲠᲕᲐᲫᲘᲡ მაღაზიაში (გიმნაზიის მახლობლად).
ᲐᲮᲐᲚ-ᲡᲔᲜᲐᲙᲨᲘ—ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜᲡ სასოლდიასთან.
ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲨᲘ—ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜ ᲛᲘᲮ. მეუნარგიასთან.
ᲚᲔᲩᲮᲣᲛᲨᲘ (ᲚᲐᲘᲚᲐᲡᲨᲘ) —ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲑᲔᲠᲡᲐᲛᲘᲐᲡᲗᲐᲜ.
ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ—ᲣᲐᲠᲐᲛᲐᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ —სასოფლო შკოლაში.
ᲒᲝᲠᲨᲘ—ᲞᲐᲕᲚᲔ ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔᲡᲗᲐᲜ (სასულიერო სასწავლებელში).
ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ—ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ.

დაბარება შეიძლება თვითონ გამომცემლისაგან, მღ. დ. ღამბაშიძისაგან (დ. ᲥᲕᲘᲠᲘᲚᲘᲓᲐᲛ), ამ ადრესით: Въ м. Квирилы (Кут. губ.). Священнику Давиду Гамбашидзе. ᲕᲘᲜᲪ ᲐᲗ ᲔᲒᲖᲔᲛᲞᲚᲘᲐᲠᲖᲔ მეტს დაიბარებს, მანეთზე ორი შაური დაეთმობა.

(7—3)

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება რედაქციაში—ბ-ლის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲠᲔᲑᲗᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ᲤᲐᲡᲘ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ, ᲔᲘ. 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲘᲜ, ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲗ—ᲮᲣᲗᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲞᲐᲠᲘᲫᲘ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲕᲐᲒᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲜᲜᲘ ᲞᲝᲔᲖᲓᲘ, ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲐᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲔᲢᲔᲯᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲝᲔᲖᲓᲡ, ᲠᲘᲡᲒᲐᲛᲝᲪ ᲛᲝᲰᲙᲚᲐ 5 ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲭᲠᲐ 30 ᲙᲐᲪᲘ.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 24 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲐᲥ ᲗᲐᲕᲐᲓᲘ ᲓᲝᲜᲓᲣᲙᲝᲕ-ᲙᲝᲠᲡᲐᲙᲝᲕᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24, ᲘᲕᲚᲘᲡᲡ. ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲛ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ 3 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ ᲖᲣᲚᲣᲡᲔᲑᲗᲐᲜ ᲡᲐᲝᲛᲠᲐᲓ.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 25 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ.

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

| ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ: | | | ᲛᲐᲜ. | ᲙᲐ�პ. |
|---|---|---|---|---|
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ | | — | 95— | 30 |
| ᲛᲔᲝᲠᲔ — | — | — | 93— | 50 |
| ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ — | — | — | 93— | 75 |
| ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ — | — | — | 93— | 57 |
| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ. | | — | 92— | 62 |
| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ | | — | 92— | 80 |
| ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ | | — | 92— | 80 |
| ᲝᲥᲠᲝ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ | | — | 7— | 65 |
| ᲗᲤᲘᲚ. ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲘᲠᲐᲝᲡ ᲗᲣᲠᲙᲘᲚᲘ | | — | „ | — „ |
| ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ | | | | |
| | | | ᲛᲐᲜ. | ᲙᲐᲞ. |
| ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ | — | — | 233— | 25 |
| ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ | — | — | 233— | „ |

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ | — | — | 25—32 | ᲞᲔᲜᲡᲘ |
| ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ | — | — | 129— | „ ᲪᲔᲜᲢᲘ |
| ᲞᲐᲠᲘᲫᲘ | — | — | 268—58 | ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ |
| ᲕᲔᲜᲐ | — | — | 219—80 | ᲞᲤᲔᲜᲘᲒᲘ |
| ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ | | — | „ | — |

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

### ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ.

(ᲕᲣᲫᲦᲕᲜᲘ Უ. ᲓᲐᲛᲘᲗᲠᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡᲫᲔᲡ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔᲡ)
(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ.)

ᲛᲝᲒᲒᲔᲣᲐᲕᲔᲡ ᲐᲥ ᲔᲠᲗᲘ, ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲘᲠᲘᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲧᲝᲕᲔᲚᲐᲓ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ, ᲗᲐᲜᲐᲠᲡᲘᲡᲐ, ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲡ ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲤᲠᲘᲡᲐ ᲬᲛᲘᲓᲘᲡᲐ.

ᲓᲠᲝᲡᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲐᲓ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲡᲘᲡᲐ ᲣᲙᲔᲗᲘᲚᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘᲡᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲛᲔᲝᲠᲘᲡᲐ ᲛᲔᲤᲘᲡᲐ, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲘᲛᲔᲠᲔᲗᲝᲗᲘᲡᲐ: ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲘᲡᲐ ᲓᲔᲓᲣᲤᲚᲘᲡᲐ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘᲡᲐ; ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲘᲗᲐ ᲧᲝᲕᲚᲐᲓ ᲡᲐᲛᲚᲕᲔᲚᲝᲗᲐ ᲛᲘᲢᲠᲝᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲗᲐ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲔᲡᲔ ᲡᲐᲛᲚᲔᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲚᲔᲕᲚᲝ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐ, ᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲠᲘᲠᲘᲐᲙᲘᲡᲐ. ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲡᲐ ᲡᲐᲛᲔᲤᲝᲡᲐ. ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲗ ᲛᲐᲗᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲝᲑᲘᲡᲐᲗᲐ; ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ-ᲣᲮᲣᲪᲘᲡᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡᲐᲗᲐ ᲬᲔᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲛᲘᲓᲒᲐᲜ ᲡᲘ ᲤᲚᲘᲡᲐ ᲮᲢᲘᲐ, ᲮᲝᲚᲝᲚ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲗᲒᲐᲜ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐ ᲩᲔᲕᲐ ᲗᲔᲕᲔᲡᲐ ᲘᲕᲜᲘᲡᲐ, ᲠᲘᲪᲮᲕᲡᲐ ᲘᲔ-ᲡᲐ“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲔᲒᲔᲠᲓᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲔᲠᲝᲑᲐ, ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲛᲝ ᲐᲥᲕᲐ ᲮᲣᲪᲣᲠᲘ ᲐᲡᲝᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲤᲡᲐᲚᲛᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: „ᲛᲔᲤᲣᲪᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲨᲔᲒᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲕᲐᲠᲗᲘ ᲣᲤᲚᲘᲡᲐ. ᲐᲥᲔᲗ-ᲘᲥᲘᲗ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲮᲐᲢᲣᲚᲜᲘ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ, ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲜᲯᲐᲚᲘ, ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ, ᲝᲠᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲔᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐᲗ.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲘᲓ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ: „ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲐᲠᲮᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ“. ᲐᲛ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲑᲔᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲐ.

ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲑᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲔᲔᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲖᲔᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲗᲐᲣᲠ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ, ᲠᲝᲛ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲜᲘ ᲓᲐᲑᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ

მაშინაც არ შეწყვეტილა, როდესაც იმერეთს სოლომონ მეფე მოშორებია და თფილისის ქალაქს მიუწვევია ტორმასოვს... წიგნების ბეჭდვა აქ ჩყი წლამდე არ გასწყვეტილა.

ჩყი წელში მესტამბე ზუბაშვილი გარდაცვლილა. დარჩენია ამას შვილი დავითი, რომელსაც კარგად სცოდნია მესტამბეობა. ჩყია წელში ქუთაისში და საჩხერეში სტამბების მუშაობა შეჩერებულა. ამ წელში აქ წიგნები აღარ იბეჭდებოდნენ. რას ერიდებოდნენ მესტამბეები, რომ ამ ადგილებზე წიგნებს აღარ ბეჭდავდნენ? ზოგნი ამბობენ, რომ რუსების ერიდებოდათ და იმიტომ სხვა ადგილას გადუტანიათ სტამბა და იქ უბეჭდავთ წიგნებიო; ზოგნი ამბობენ, რომ ამ ადგილებში ჟამი იყო და მას მოერიდნენო. ზუბაშვილის შვილს სტამბა რაჭაში წაუღია და სოფელს წესსში გაუხსნია. ესე ყოველივე სჩანს ერთი პატარა სადღესასწაულო წიგნის სათაურის ზედ წარწერისაგან, რომელიც ჩყია წელში არის დაბეჭდილი: „კურთხევითა ყოვლად სანატრელთა უწმინდესითა ყოვლად სამღვდელოთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა დაიბეჭდა საღრთო და საეკლესიო წიგნი ესე, გამოკრებილი სადღესასწაულო სოფელსა შინა წესსა წელთა დასაბამიდგან სოფლისა ხტით, ხოლო ქრისტეს აქეთ ჩყია თვესა აგვისტოსსა კა. გულს მოდგინებითა, შრომითა და ღვაწლითა, ყოვლად სამღვდელოსა ნიკოლაოზ წმინდელისა არხიერისა სოფრონისათა. ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა რომელიცა მიცვალებული იქნა უწინარეს ბეჭდვისა ამისა. ხოლო შემდგომ მიცვალებისა მისისა, მე ძემან მისმან მესტამბემ დავითმა ვიწყე და აღვასრულე ძალითა ღვთისათა“.

ამის შემდეგ სტამბები კიდევ დარჩენილან ჩვენში, მაგრამ დიდხანს არა. ყველა ეს სტამბები წაუღიათ მოსკოვში და მას დროს აქეთ თითქმის საღმრთო წერილი და საეკლესიო წიგნები სულ იქ იბეჭდებოდნენ ჩყჲჟ წლამდე. ბოლოს, როგორც იქნა. გაიხსნა ისევე ჩვენში საეკლესიო წიგნების საბეჭდავი სტამბები. მაგრამ წიგნების ბეჭდვის საქმე ჩვენში ცუდათ მიდის და უთავბოლოთ; რადგან ეხლა, სამწუხაროდ, არავინ გვყავს ჩვენ მოთავე კაცი ამ საქმისა.

მ. ღ.—ძე

**P. S.** თუ საჭიროთ შერაცხს კავკაზიის არხეოლოგიური საზოგადოება ამ ძველი წიგნების მოპოებას, მე შემიძლია ისინი ვიშოვო და გადავსცე ამ საზოგადოებას.

---

## დღიური

*** 24 ივლისს, ნაშუადღევის 3 საათზედ სომხების ჯიგრაშენის ტაძარში გაჩნდა ცეცხლი და დაიწვა კანკელი. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ყოფილა ისა, რომ ამ დღეს მიცვალებული დაუსაფლავებიათ და საყდარში ანთებული სანთელი დარჩომიათ.

*** სიღნაღისა და თელავის მაზრებიდამ გვწერენ. რომ იქითკენ მოსავალს ძალიან ცუდი პირი უჩანს გვალვის გამო. მარტო ფეტვისა და სიმინდის იმედი აქვსთ თურმე ორივე მაზრებს. თუ ამ ცოტი ხნის განმავლობაში წვიმა არ გველირსა, საქმე ცუდათ იქნებაო. ურწყავ ვაზებსაც ეს უწვიმობა ძალიან ზარალს აძლევსო.

*** ერთი თბილისში მცხოვრები პირისაგან მივიღეთ ჩვენ საჩივარი იმის თაობაზედ, რომ აქაური მკურნალები მეტად გულ გრილად უყურებენ ყოველივე გაჭირვებულ კაცს, რომელიც კი იმათ შემწეობისათვის მიმართავს! თუ უზომო ჯილდო არ მისცა კაცმა, ზედაც არ შეხედავენო და თუნდა ფაიტონი მიართვათ, ორ საქენზედ არ გამოგყვებიანო.

სხვათა შორის. იმას მოყავს ერთი შემთხვევა, როგორ ორი ყარიბი კაცი ღამე და წანწალებდნენ ქუჩა-ქუჩა ექიმის საძებნელად, ამან მიასწავლა იმათ ერთთან, რომელსაც დიდის ვედრებითა და ღრეჯით სთხოვეს მიშველებოდა გაჭირვებულს ავათმყოფს და აძლიეს ერთი მანეთი, მაგრამ იმან ხუთ მანეთ ნაკლებ კარებში თავი არ გამოჰყო და დაცინვით მიუთითა მეორე ექიმზედ რომ ის არის კაცთ მოყვარე და შემბრალებელი მკურნალი, ის გამოგყვებათ მანეთათაო! ყარიბები წასულან იმ მეორესთან, მაგრამ იმისი პასუხი ჰყოფილა; „სტუმრები მყავს, არა მცალიან, რაც უნდა მომცეთ, ვერ წამოვალო“ და სხვ.

დღევანდელ ნომერში ნახავთ წერილს, რომელშიაც აგრეთვე უჩივიან ერთ სულიერ მამას, რომ ის მომაკვდავთან საზიარებლად არ წასულა ერთი უბრალო მიზეზის გამო!

მკურნალი და სულიერი მამა! ესენი არიან ორგვარი გაჭირვების დროს ხალხის იმედნი, და ცოტათ თუ ბევრათ მშველელნი, ამათკენ უჭირავთ თვალი ამ ორგვარ გაჭირვებაში მყოფებს და როგორ მოგწონთ ამათი ამგვარი მოქმედება!?..

*** „პეტერბურგის უწყებებში“ იწერებიან, რომ შინაგანი სიძმეების სამინისტროს მედიცინის დეპარტამენტისაგან აღძრულია კითხვა, რომ შემოიღონ ვალდებულებითი ყვავილის აცრა, ე. ი. ყველა მოვალე უნდა იყვეს, რომ უთუოდ აიცრას; ამ კითხვაზედ უკვე მოულაპარაკნიათ მედიცინის რჩევაში და მოკლე ხანში წარიდგინება დასამტკიცებლად.

უეჭველია, რომ ამის ასრულება მეტად გონივრული და სასარგებლო იქნება მეტადრე ჩვენში, სადაც ამ ჟამად მრავალი ხდება ყვავილის მსხვერპლად იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყვავილ აუცრელია და არის, როგორც ვიცით, იმის გამო, რომ არ უნდათ, არ დასდევენ, ვერ ახერხებენ, [illegible] და სხვ.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

**ბათუმი, 16 ივლისს.** ჩვენმა ძვირფასმა სტუმრებმა გუშინ კვირა საღამოს წარმოადგინეს საზაფხულო თეატრში, უფ. სუნდუკიანცის „პეპო“ და ვოდევილი უფ. ა. ციციშვილისა, „მოტია“.

ხალხს ორი მიზეზი ქონდა, რომ პირველ წარმოდგენაზე უფრო მეტი დასწრებოდა, რადგანაც: ერთი რომ კვირა იყო და მეორე რომ მაბუნიის ქალის მშვენიერმა ხმამ მთელი ბათუმი აალაპარაკა; და სწორეთ ამ მიზეზითაც იყო რომ მეორე და უკანასკნელ წარმოდგენაზე მეტი ხალხი დაესწრო. ქართულის „ინჩის“ უცოდნელებიც კი ღებულობდნენ ბილეთებს რომ გაეგოთ რა იყო ამისთანა მშვენიერი ხმა!

„პეპოს“ მოთამაშეებმა, თითქმის ყველამ თავიანთი როლები მშვენიერათ, ხელოვნურათ წარმოადგინეს. განსაკუთრებით მეთევზე პეპო, უფ. ზ. მაჩაბელმა; პეპოს ნათესავი—გიქო, უფ. ქ. ყიფიანმა, ქვრივი დედა პეპოსა—შუშანა, ნ. გაბუნიას ქალმა და დიდარი ვაჭარი არუთინ ზიმზიმოვი. ვ. აბაშიძემ.

ვისაც კი ცოტაოდენი კაცთ მოყვარეობის ნაპერწკალი გულში უღვივოდა, ვისაც კი ბოროტებით და ანგარებით გული სავსე ჰქონდა და ვისაც კი ხალხს ბედი ფეხსე ეკიდა და თავის სიამოვნების მეტი თავის გულში არაფერი ჰქონდა,—ყველა ეს გულები წარმოუდგენელ მწუხარების ალმურში იყო ანთებული, როდესაც უფ. ზ. მაჩაბელმა ის გულის გამგმირავი და გამგლეჯი სიტყვები გრძნობით წარმოსთქვა, როდესაც, არუთინამ იმ უკანასკნელ მათ ცხოვრების და დის ბედნიერების საშუალებაზე, ას თუმანზედ ცივი უარი უთხრა.

თითქმის ყოველივე სიტყვები პეპოსი ისეთის გრძნობითა და თრთოლვით წარმოსთქვა მაჩაბელმა რომ ვერ წარმოიდგენთ რა ნაირი შთაბეჭდილება და გულის მომაკლავი ოხვრა ისმოდა ხალხში, ბევრი კი, როცა უნდა ამისთანა სიტყვებით უბედური ხალხის ტანჯვა წარმოედგინა მაშინ ხარხარებდნენ!... ეს რასაკვირველია, იმისათვის რომ, ბევრს ისე ჰგონია, სცენაზე წარმოთქმულ ყველა სიტყვაზედ უნდა სიცილი და ხარხარიო!...

მე მიკვირს ჩვენი „წიგნების გამომცემი საზოგადოებისაგან“ რომ ეს მშვენიერი და მდიდარი პიესა დღემდი არ დაუბეჭდიათ, და არ გააცნობენ იმათ ყველას, ვინც წარმოდგენის ნახვას კი არა სახელის გაგონებასაც კი თავიანთ სიცოცხლეში ვერ მოესწრებიან!

უფ. ქ. ყიფიანმა გიქოს წარმოდგენის დროს დაგვიმტკიცა, რომ ის სცენაზე უფრო ძრიელ მშვენიერათ ახერხებს სურიოზნულ როლებს.... როგორც ეტყობა ის კომიკურ როლებსაც კარგა უნდა თამაშობდეს!

ნ. ზაბუნიას ქალმა ისე მშვენიერათ წარმოადგინა პეპოს დედა შუშანა, რომ არავის არ სჯეროდა, თუ ის ზაბუნიას ქალი იყო სცენაზედ და არა ნამდვილი ლი ის ქვრივი დედა; ყველა, იმისი გულის გამგლეჯი სიტყვები თუმც ყველას აფიქრებდა, მაგრამ ხალხს ვერ შეეკავა თავი იმისთვის მადლობის გარდაუხდელათ.

ყველა გასვლაზე და შემოსვლაზე გაუწყნარებელი ტაშის კვრით და „ბრავოს“ ძახილით აჯილდოებდა იმას!

უფ. ა. აბაშიძეს, არუთინ ზამზიმოვის როლში, ორი რამე რომ არ ჰკლებოდა, ყველაფრით სრული იყო! მიხვრა მოხვრით, სახის მეტყველობით და ფულით კაცათ გამხდარ ვინმეთ მშვენიერი იყო, მაგრამ ის იყო ძრიელ სუსტი და არ ჩამოჰგავდა იმ სომეხს, რომელიც უნდა წარმოედგინა და სომხურ კილოზე ისე ვერ ლაპარაკობდა, როგორც საჭირო იყო.

პეპოს მეგობარი პაკულა, უფ. საგარელმა მშვენივრათ გამოგვიხატა!

იმან ნამდვილათ დაგვანახა იმ ხალხის კაცთ მოყვარეობა, გულღიობა, მამიცობა და გონების სიმახვილე,—რომელიც ბევრის თვალში, ქვეყანაზე არა თუ ადამიანათ, არამედ მეტათ ქმნილებათა სჩანს! ყველაზე უფრო მტვენივრათ მოახერხა ის ალაგი, საცა თავისი მეგობარი პეპო დის უბედურებისათვის შეწუხებული ნახა, მოიხსნა თავისი უკანასკნელი ღონისძიება, ერთი ვერცხლის ქამარი და ხელის გასამართავათ შეწირვა მოინდომა და უთხრა ქამრის შეძლევითა და მუშტის მოღერებით: „აჰა, პეპე ჩემგან იმიხ ამის მეტს და ამის მეტს ნურაფერს ელიო“... მაგრამ რამოდენათაც ჩვენ ვიცნობთ იმ საზოგადოებას ხალხს, როგორც ფაკულა უნდა მოგახსენოთ რომ შედარებით უფ. საგარელს ცოტა არ იყოს სიცხოველე აკლია, ამ ნაკლულევანების გარდა ყველაფრით სრული იყო!

პეპოს დის, ქეკელას წარმოდგენაში ბ. კორინთელის ქალმა არა ერთს გადმოაყრევინა თვალებიდან ცრემლი, როდესაც იმან ისე მშვენიერათ და ხელოვნურათ გამოგვიხატა ის სუსტი არსება, ქალები, რომლებიც მალე შესცდებიან ხოლმე ვაჟის ცარიელა სიტყვებზე, უერთებს ყველაფრით გულს და ბოლოს კი გაუბედურებული, სახელ გატეხილი და მოტყუებული რჩება, რომელიმე უბრალო მიზეზის გამო. ჩვენს პატივცემულ მოთამაშეს რომ ცოტა მაღლა ელაპარაკნა და ყველას რიგიანათ გაეგო ის გულის მომწამლველი სიტყვები, მაშინ დარწმუნებული ვარ, მომატებულსაც ატირებდა!

უფ. საფაროვის ქალი, როგორც უკვე ყველასთვის ცნობილი, დაჯილოვნებული მოთამაშე, კარგათ თამაშობდა არუთინას მეორე ცოლის როლს, მაგრამ სამწუხაროდ, დღესაც შევნიშნეთ ცოტა უგულობა: ასე გვგონებოდათ, ის ძალდატანებული თამაშობსო; არ იყო ისე, როგორც იმის გათქმულ სახელიდან მოველოდით!

უფ. ა. მესხი „მოტიაში“ რაც შეიძლება, ძრიელ კარგათ თამაშობდა. ძრიელაც მოწადინებული იყო რომ ხალხის ყურადღება დაემსახურებინა და უფრო გაემხიარულებინა საზოგადოება; ამისათვის ის ყოვლათ უსაჭიროთ ზოგიერთ ვითომ უფრო გასაცინარ სიტყვებს უმატებდა და ამ დამატებაში ერთი ორი ავლაბრულიც გამოურია!

ჩვენ გვაკვირვებს უფ. მესხი რათ ცდილობს, რომ მეტი სიტყვები ჩაურთოს, ისეთი სიტყვები, რომლებიც საჭირო არ არის!

საფაროვის ქალი ყველაზე ლამაზათ ამბობდა სიტყვას „მინდა“ აქ სწორეთ ასეთი სინაზე უნდა!

ნ. ზაბუნიას ქალმა, როგორც ჩვენ ისე რა ჩვენ თათარ ქართველებს სულ „ალლახ. ალლახი“! გვაძახა, როდესაც იმ ბებრულ როლიდან ისე ცოცხალ და კაპას ქალათ გამოვიდა, როგორც ნიმფადობა. ამბობდნენ „ეს რა ბალაა“, თუ ეს წელანდელი პეპოს დედაა, ახლა როგორ გაყმაწვილ ქალებულა და მარჯვეთ და მარდათ დახტისო!

დანარჩენებმაც თავიანთი როლები თითქმის უნაკლულოთ შეასრულეს.

აფიშების ძალით ნ. ზაბუნიას ქალს არ უნდა ემღერა, რადგანაც გვიანღა იყო მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, საზოგადოებამ ისეთის ყვირილითა და ტაშის კვრით გამოითხოვა, რომ იქაურობა აიკლეს! იქამდი აიტაცა იმისმა მშვენიერმა ხმამ ყველა, რომ ერთ ჯერ და ორ ჯერ არ დაიჯეს მღერა; მესამე ჯერ და მეოთხე ჯერ გამოითხოვეს. რომ უფრო კარგათ გაეგონათ მშვენიერი ტკბილი ხმა! ხალხი ადგილებიდან წამოხტა და სცენაზე მიიჭრა ნ. ზაბუნიას ქალის ხელოვნურათ როლების თამაშობაზე და მშვენიერი ხმით სიმღერებზე. მეტი ტაშის კვრით თითქმის ხელის გულებზე მაზოლი გაგვიჩინა!

ყველაზე უფრო მშვენიერათ იმღერა უფ. სოსიკო ბაქრაძის მშვენიერი სიმღერა „არც სახლი მაქვს არც კარი, ვარ შრომის ანაბარათ! ცა, მთა და ბარი მიმაჩნია სახლ კარათ“. და სხვ.

მე ვერ შემიძლია აგიწეროთ იმისი მშვენიერი სიმღერებით აღტაცებული ხალხი!

ყველა გამოჩენილ ქართველებმა ნიშნათ ღრმა შთაბეჭდილებისა იქვე სთხოვეს ყველა მოთამაშეებს მეორე ღამის ვახშამზედ, და მიანდეს ერთ პერს, რომ ხელმოწერით ჩვენ ძვირფას სტუმრებს ვახშამი გაუმართონ! ბერმა იქვე დიდის იხარულით მოაწერა ხელი

მოულოცავ ჩვენ ძვირ ფას ნორჩ ტრუპას ამდენი თანამგრძნობლების აღმოჩენას და ღმერთსა ვსთხოვეთ, რომ იმათ მხრითაც ღირსეულათ იყოს დაჯილდოებული საზოგადოების ამდენი სიხარული და აღტაცება!..

ჩანჩურ ივანიჩ.

---

## წერილი რედაქტორთან.

—

უფ. რედაქტორო!

აჰ ჩემის მცირე წერილით მე მსურს მოვიყვანო ერთი შემთხვევა, რომელიც იმისთვის უფრო არის ყურადღების მისაქცევი, რომ მოგვითხრობს უკანონო მოქმედებას იმ პირებისას, რომელნიც უნდა განსაკუთრებით მისდევდნენ ღვთისნიერებას, კეთილშობილებას, სიკეთის თესვას ხალხთა შორის, კაცთმოყვარეობას, სულგრძელებას და სხვა კაცურ ღირსებაებს, რომელნიც არიან დამოკიდებულნი გონიერ კანონიერ პრინციპებზედ.

აი ეს შემთხვევა: თბილისის ერთგანყოფილებაში, ჩუღურეთში ერთ ღარიბ სახლობას გ.დ—სა გაუხდა ავათ ცოლი, რომელიც ერთი კვირის შემდეგ ძალიან შეწუხდა, მორჩენის იმედი თავის პატრონს გარდაუწყდა. საწყალი ავათმყოფი უზიარებელი რომ არ მომკვდარიყო, აფრინეს ერთი მოხუცებული დედაკაცი მოსაყვანათ მოძღვართან. მოხუცებული მივიდა ქაშვეთის ღვდელთან, ჩ—თან, და მოახსენა, რომ ის წასულიყო და ეზიარებინა გ. დ—ისა ცოლი. ღვდელმა დაუწყო ერთი ვაი-ვაგლახი:

„რას მორბიხართ ჩემთანო, ეხლა მოგაგონდით! სად იყავით აქნობამდის? მე რა იმისი ცოლის მაზიარებელი ვარო, ვინც ჯვარი დასწერა იმანვე ცოლი უზიაროსო“!

—მოძღვარო, ის ღვდელი, რომელმანც ჯვარი დასწერა, ამ ჟამად სცხოვრობს სოფელში, სამი დღის სავალზედ! თავმოდრეკით უპასუხა დედაკაცმა.

— მე ეხლა იქ წამომსვლელი არა ვარ, რაც უნდა იყოს! მიგიწერ ბარათს წ. ნიკ. ეკლესიის ღვდელთან და ის, რადგანაც ახლოა თქვენთან, წამოვა, უპასუხა მამა ჩ—მა, მისცა ბარათი და გამოისტუმრა მოხუცებული, რომელმანც მოუტანა ბარათი წ. ნიკ. ეკკლესიის ღვდელს. ახლა ამან დაუწყო ჯავრობა:

—მომეწყინება, რაც ჩ—ს. მრევლი შეუწუხდეს, მე უზიარო ხოლმე! აბა ნათლობა, ან ქორწილი ყოფილიყო, თუ ჩემთამ გამოგზავნიდა. მე ახლა წამოვალ, ვაზიარებ, მაგრამ იმ პირობით რომ მოახსენო მამა ჩ—ს, რომ მომცეს ხელწერილობა თქვენი მრევლობიდგან ხელის აღებისა“.

უბედურ ავათმყოფს არა ეშველა რა; სამი დღის შემდეგ ზიარების უკან, გარდაიცვალა. შესატყობნათ გაგზავნეს ისევ ის ბებერი დედაკაცი, რომელმანც მოახსენა ღვდელ ჩ—ს შემდეგი: „ბატონო, მოძღვარო, რადგანაც თქვენ აღარა გსურთ ჩვენი მრევლობა, ამიტომ მიბოძე იმნაირი ბარათი, რომლის ძალითაც წ. ნიკ. ეკკლესიის მღვდელს შაეძლოს მიცვალებულის დამარხვაც და ყოველივე რიგის გადახდაც“.

ამ თხოვნაზე აი რა მოახსენა მამა ჩ—მა: „ვინ გითხრათ, თქვენი მრევლობა აღარა მსურსო; მე მაშინ იმი-

ღომ გითხარი ის, რომ ძალიან ცხელოდა, წამოსვლა დამზარდა. (?) აი ეს დიაკვანი! უჩვენა ერთ პატარა ბიჭზედ: წაიყვანე დავითნის საკითხავად, და მეც მოვალ ხვალ დასამარხავათ“. ამასთანავე უბრძანა დიაკვანს, რომ იმას ეთხოვნა წ. ნიკ. ღვდლისათვის, რომ ეკკლესია ეთხოვებინა და იქ სიახლოვეს გამოთ მიცვალებული მიესვენებინათ წირვის მოსასმენელათ. მაგრამ, როგორც დიაკვანმა სთქვა წ. ნიკ. ღვდელს უარი ეთქვა—მიცვალებული მყავსო, ამის მთავრისთვისაც ეკითხნა დიაკვანსა, მაგრას იმას ეთქო, არა გვყავსო. (რომელ ვრთ, დაუჯეროთ — დიაკვნის სიმართლეს ღვდლისას, თუ მთავრისას!)

აი ამნაირად ღარიბი ხალხი ყველასაგან არის დაბრიყვებული: ღვდლისაგანაც, ექიმისაგანაც, ასე გაშინჯეთ მამასახლისისაგანაც და ბედისაგანაც თუ, რომ ეს უკანასკნელი არის სადმე!

ზ. დ. შ.

---


# განცხადებანი

მოვიტანე დიდ-ძალი ფიცრები ფიჭვისა და ნაძვის ხეებისა კარების, ფანჯრებისა და იატაკებისათვს. სრულებით

მშრალი ფიცრებია, ოთხი წლის დახერხული.

ვისაც ამ ხის მასალის შეძენა ჰსურს, შეუძლიან მიმართოს არსენალის ქუჩაზე, ფოლინოვის სახლებში № 31; იკითხოს უფ. ვალერიან ჩეჩუტი·

(3—1)

მოვიტანე პარიჟიდამ ყოველ გვარი საქონლის ნიმუშები, რომლებზედაც ვიღებ ზაკაზებს კარგის პირობებით.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ეს ნიმუშები უ. არწრუნის ქარვასლაში № 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პარიჟის ფირმა: Gilles et Iohan Chandons.

---

გამოვიდა და ისყიდება

## „ბუტიაობა“

ვოდევილი

აკაკი წერეთლისა

ისყიდება ჩარკვიანის, ვართანოვის დ გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე.

---

ქუთაისში

## კ. მესხის წიგნის მაღაზიაში

ი ყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელი მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.,

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან·

3) რუსული დასაწყისი ენის კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ—შედგენილი გ. ქ—შილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობ 50 კაპიკად.

4) დედა ენა—ი. გოგებაშვილისაგან, 50 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. გოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან— — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. ერისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა გ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბარ. ჯორჯაძისა — — — — — 50 —

13)— ყარაჲანია—პირველი ექვსი

14) რძალი,მიულ და მაშენიკები—

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხაფაზოვის სახლებში კლუბის ქვეშ

---

დაიბეჭდა და ისყიდება

მერვე კარი

## „ყარამანიანისა“

ქუკიის ხიდზედ, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში მირზვის დუქნებში.

და აგრეთვე ისყიდება იქვე I, II, III IV, V, VI და VII კარი ყარამანიანის, ფასი 40 კაპ.


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 1[illegible] | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 1 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | [illegible] | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | [illegible] | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6, | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | [illegible]6 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

ფოჩტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს— ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბ. ქაღალის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 11 ივლისს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ. | 2 | 20 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 60 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 20 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| გაწენდილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 12 | 30 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 81 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 60 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 50 |
| თამბაქო საშუალო ფუთ. | 6 | 70 |

## თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და ბარალევიჩი— შინაგ.ავათმყოფობის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბაბოვი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ყურავლევი—კანისა და ვენერიულის, ბახუტოვი—ქალისა და ბავშვების.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—შინაგ, ბაბაევი— ნერვების.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ყურავლევი—კანის და ვენერიულის.

პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან: ლისიცევი, ბაბოვი, ბაბაევი და ბახუტოვი.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი, რეიხი და ყურავლევი.

ორბელი —კბილის ექიმი და ბაბაევი მიიღებენ შინ, ღარიბებს მუქთად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Іюля 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.